ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1924745

ნომერი: AR1313108

თარიღი : 26.05.2015

გაცემის თარიღი : 29.05.2015

გაცნობის თარიღი : 29.05.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ც. დადიანი , N 26 , ჩოდრიშვილის N2 , (ნაკვეთი N 033/007) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ლოლაძე პ/ნ 01010012878
- თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ V მ/რ კორ. 4 ბ. 3

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ღია ავტოსადგომის მოწყობა
  კორექტირება
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებით გაცნობებთ: ქ. თბილისის 2008 წლის 22 დეკემბრის #24.16.832 დადგენილებით დამტკიცებული სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის დებულების მე-2 მუხლის "ა" ქვეპუნქტის მიხედვით სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიზანია მის კომპეტენციას მიკუთვნილ საკითხებთან დაკავშირებით ქ. თბილისის ადმინიტსრაციულ- ტერიტორიულ საზღვრებში ერთიანი საჯარო ხელისუფლების განხორციელება. მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის "ფ" ქვეპუნქტის თანახმად სამსახურის უფლებამოსილებაში შედის ქალაქის ფუნქციური ელემენტების განვითარების პროცესის მოდელირება, ურბანული ქსოვილის ცალკეული მახასიათებლების ანალიზი, საპროექტო ვარიანტების და მიღებული გადაწყვეტილებების შეფასება. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის, "ე" ქვეპუნქტით სამსახურს თავის ფუნქციების შეუფერხებელი განხორციელების მიზნით უფლება აქვს განიხილოს შენობა-ნაგებობის ექსტერიერებისა და ინტერიერების პროექტები, მოახდინოს ფერთა შეთანხმება. სამსახურის უფლებამოსილებიდან გამომდინარე (გადასინჯოს წარმოდგენილი საპროექტო ობიექტების ვიზუალური მხარე და მისი შემდგომი განვითარების კუთხე). ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახური ქ. თბილისის მასშტაბით, როგორც არქიტექტურულ-სამშენებლო სფეროში ერთადერთი ერთიანი საჯარო ხელისუფლების განმახორციელებელი ორგანო არათუ უფლებამოსილია, არამედ ვალდებულია იზრუნოს ქალაქის მხატვრული იერსახის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, რათა სახელმწიფომ და საზოგადოებამ არ მიიღოს შენობა-ნაგებობათა და საერთო ჯამში ქალაქის დამახინჯებული იერსახე და ამასთანავე, ვინაიდან აღნიშნული ობიექტი განთავსებულია განსაკუთრებული სამშენებლო რეგულირების ზონაში, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შენობა-ნაგებობებს და მათზე განთავსებულ კონკრეტული დეტალების ვიზუალურ მხარეს, არქიტექტურის სამსახურს წარმოდგენილი ფოტომონტაჟის მიხედვით სავაჭრო კიოსკისა და სავაჭრო პავილიონის განთავსება მიზანშეწონილად არ მიაჩნია. საჭიროა საპროექტო ობიექტების მხატვრულ ვიზუალური ელფერის სადა და მსუბუქი ფორმულირების შემუშავება, დაიხვეწოს მათი დიზაინი, გადაწყდეს თანამედროვე მასალების გამოყენებით უფრო თანამედროვე დიზაინში.

გარდა ამისა, წარმოდგენილი ფოტომონტაჟის მიხედვით სავაჭრო პავილიონის ნაცვლად ეწყობა ბოქსები. ზონირების რუკის მიხედვით საპროექტო ობიექტი მდებარეობს სარეკრეაციო ზონა-2-ში (რზ-2)-ში, სადაც მსგავსი ტიპის (ბოქსების) ნაგებობის განთავსება საჭიროებს სპეციალურ ზონალურ შეთანხმენას. შესაბამისად, იმ შემთხვევაში თუ ბოქსების განთავსება გსურთ, მაშინ აღნიშნული საკითხი, ხარვეზების გამოსწორების შემდგომ, გატანილი იქნება სპეციალურ ზონალურ საბჭოზე, ხოლო თუ სავაჭრო პავილიონს ანთავსებთ, მაშინ წარმოდგენილი ვიზუალი უნდა შეიცვალოს და მისი იერსახე უნდა შეესაბამებოდეს პავილიონს.

ზემოაღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინებით წარმოსადგენია განახლებული ფოტომონტაჟი ყველა მასალისა და გაბარიტული ზომის მითითებით.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7
ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge